მთიან რეგიონში სათემო საზოგადოებრივი ცენტრის კონცეპტუალურ პროექტზე არქიტექტურული კონკურსის პროგრამა და პირობები

*საკონკურსო პირობები შემუშავებულია **UNESCO**-ს და **UIA**-ს*
„საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსების მოწყობის სანიმუშო დებულების“
პრინციპების გათვალისწინებით.

პრეამბულა

საქართველოს მთიანი რეგიონები კერძოდ სვანეთი, გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტური მახასიათებლებით, თავისი მდიდარი, უნიკალური კულტურით. სვანეთი არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში ერთერთი ულამაზესი და ღირსშესანიშნავი რეგიონია უნიკალური ისტორიით და უმშვენიერესი ბუნებით. სვანეთშია ევროპის ყველაზე მაღალმთიანი დასახლებული, ნაკრძალად გამოცხადებული, UNESCO-ს მიერ მსოფლიოს კულტურის საგანძურად აღიარებული და დაცული დასახლებები. ამ დასახლებების ტერიტორიაზეა განთავსებული საქვეყნოდ ცნობილი სვანური 4-5 სართულიანი, 20-25 მეტრის სიმაღლის შუასაუკუნოვანი თავდაცვითი კოშკები, რიყის ქვითა და ლოდებით აგებული 0.80-1.50 მ სისქის კედლებით, რომლებსაც გარედან კვერცხის გულით შეზავებული კირის ბათქაშით ლესავდნენ, შედარებით იშვიათად იყენებდნენ ფიქალს და ხეს. კოშკთან ერთად 2 სართულიანია ე.წ. ციხე-სახლი „მაჩუბი“ კი საჭიროების შემთხვევაში თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. უკლებლივ ყველა დასახლება, ნაგებობა, გარემოსთან ორგანულადაა შერწყმული, რაც უძველეს მშენებელთა გამოცდილებასა და მათ დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს.

მრავალი წელია, რაც მესტიის მუნიციპალიტეტი სვანეთის მზარდი ტურისტული ინტერესის რეგიონია, ამ დაბიდან ახლომდებარე ღირსშესანიშნაობებამდე ათეულობით მარშრუტი მიდის. აქედან გამომდინარე ვიზიტორთათვის ხელმისაწვდომი ხდება მრავალფეროვნი და ყოველწლიურად მზარდი ტურისტული, თუ მაღალმთიანი ალპიური ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორია, რომელზედაც უნდა განთავსდეს საკონკურსო შენობა, ზოგადია. პროექტი აუცილებელად გათვლილი უნდა იყოს საქართველოს მთიანი რეგიონის - სვანეთის, უნიკალური და მკაცრი სპეციფიური პირობებისათვის, ითვალისწინებდეს მრავალსაუკუნოვან მდიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რომლის წარმოჩენას კონკურსში მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ.

1. **კონკურსის დამკვეთი:**
   SKIA – საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბი.
   კლუბის პრეზიდენტი: ნინო მშველიძე
2. **კონკურსის ორგანიზატორი:**
   საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.
   კავშირის თავმჯდომარე: დავით აბულაძე
3. **კონკურსის მხარდამჭერი:**
   მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.
   მუნიციპალიტეტის მერი: კაპიტონ ჟორჟოლიანი

თბილისი, 2018

4. ზოგადი ნაწილი:

4.1. კონკურსის დამკვეთი - SKIA საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბი, ორგანიზატორი - საქართველოს არქიტექტორთა კავშირი შეთანხმდნენ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით აცხადებენ არქიტექტურულ კონკურსს.

4.2. საკონკურსო საპროექტო ტერიტორია არის ზოგადი, დასაშვებია რელიეფის შერჩევა 0%-25%-მდე ქანობის დახრით, სვანეთის არქიტექტურული ტრადიციის გათვალისწინებით.

4.3. კონკურსი ტარდება არქიტექტურული კონკურსების გამართვის საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების, კონკურსის დამკვეთისა და ორგანიზატორის მიერ შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

5. კონკურსის მიზანი:

5.1. კონკურსის მიზანია ზოგად ტერიტორიაზე კონკურსის მეშვეობით, წინამდებარე პროგრამისა და პირობების ფარგლებში დასახელებული ობიექტის საუკეთესო სივრცით-მოცულობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი კონცეფციის გამოვლენა.

6. კონკურსის ამოცანა:

6.1. კონკურსის ამოცანაა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესების გათვალისწინება, მეორეს მხრივ, საპროექტო მოცულობის ერთიანი გააზრებით მთის რეგიონის თანამედროვე სათემო საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურული კონცეფციის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განხორციელება.

7. კონკურსის პირობები:

7.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ დიპლომირებულმა არქიტექტორებმა, მათი ხელმძღვანელობით არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტების და მაგისტრანტების საავტორო ჯგუფებმა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების სტატუსით.

7.2. კონკურსი ღიაა, ერთტურიანია და მასში მონაწილეობა უფასოა.

7.3. კონკურსი ანონიმურია, მონაწილეებს წინასწარი რეგისტრაციისას ენიჭებათ კოდი (რიცხვითი იდენტიფიკატორები) პირობების პუნქტი 7.7 და პუნქტი 9.2 თანახმად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ავტორთა (ავტორთა ჯგუფის) ვინაობა ცნობილი გახდება ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დალუქული კონვერტების გახსნისას.

7.4. კონკურსი ჩაითვლება შემდგარად თუ წარმოდგენილი იქნება წინამდებარე პროგრამის და პირობების მოთხოვნების შესაბამისი 2 ან მეტი პროექტი.

7.5. საკონკურსო მასალის წარდგენა და საკონკურსო საქმიანობის წარმართვა იწარმოებს ქართულად და ინგლისურად.

7.6. კონკურსის პირობების (წარსადგენი მასალის შემადგენლობა და ფორმატი, ვადები და ა.შ.) დარღვევის შემთხვევაში პროექტი კონკურსზე არ დაიშვება.

7.7. კონკურსის მონაწილეებმა 2019 წლის 22 თებერვლის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ პროექტი და კონვერტი/გაიარონ რეგისტრაცია, კონკურსის პასუხისმგებელ მდივანთან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული ან ტელეფონებზე: 291 01 16; 568 91 01 16.

უცხოელმა მონაწილეებმა დასაშვებია წარმოადგინონ კონვერტი და რეგისტრაცია გაიარონ 26 თებერვლის ჩათვლით მესტიაში SKIA-s კლუბში. რეგისტრაცია იწარმოებს ყოველ სამუშაო დღეს 12.00-დან 17.00 საათამდე.

7.8. რეგისტრაციის გარეშე მონაწილეები კონკურსზე არ დაიშვებიან.

8. კონკურსანტზე გასაცემი მასალები:

8.1. ა) პროგრამა და პირობები;

ბ) საკონკურსო ტერიტორია არ არის განსაზღვრული. ნაკვეთის საზღვრების მინიმალური ზომებია: სიგრძე 25.0მ, სიგანე 12.0 მ;

გ) საკონკურსო ტერიტორიის მინიმალური ფართი 300.0 კვ.მ;

დ) ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 10.0 – 15.0 მ მიწის გარე ზედაპირიდან.

ე) ტერიტორიის გეოლოგიური პირობები ზოგადი, 8 ბალიანი სეისმური ზონა.

ვ) საპროექტო არეალი სამთო რეგიონია, საანგარიშო თოვლის დაწოლა 150 კგ/კვ.სმ.

8.2. კონკურსის პროგრამის, პირობებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ გვერდზე www.competition.archinfo.ge, SKIA-ს facebook გვერდზე (https://www.facebook.com/SKIAclub/) და ასევე საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ტელეფონი - 291 01 16, მობ. 568 91 01 16 კონკურსის მდივანთან.

9. კონკურსზე წარსადგენ მასალათა ჩამონათვალი:

9.1. საკონკურსო წინადადება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უნდა იქნას ერთ პაკეტში /კონვერტში, მისამართზე - ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული.

9.2. საკონკურსო წინადადება მოიცავს:

- კონკურსის ყველა მონაწილეს მიერ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულ ვერსიაში (კომპაქტ-დისკზე) დაკომპლექტებული A-**2** ზომის არაუმეტეს 2 პლანშეტისა ვერტიკალურად, ფორმატში. ასევე საქართველოს მოქალაქეთათვის დაბეჭდილი ვერსია ბანერის სახით. უცხოელი მონაწილეები პირადად წარადგენენ პლანშეტებს მესტიაში დოკუმენტაციასთან ერთად.
- განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმატი, №12 შრიფტი, არა უმეტეს 2 გვერდისა) ორ ეგზემპლარად.
- დალუქული კონვერტი, რომელშიც იქნება ინფორმაცია ავტორის (ავტორების) შესახებ და ავტორის (ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის) დიპლომის ასლი. სტუდენტ-მაგისტრანტების შემთხვევაში - შესაბამისი ცნობა.

9.3. კონკურსზე წარსადგენ ყველა მასალაზე (პაკეტი, CD/DVD, განმარტებითი ბარათი, დალუქული კონვერტი, პლანშეტები) მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული უნდა იყოს 7 ციფრიანი კოდი (რიცხვითი იდენტიფიკატორი), რომლის ციფრების ზომა 2 სმ ტოლი იქნება. წარდგენის შემდგომ მათ დამატებით მიენიჭებათ სარეგისტრაციო ნომერი საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, ანონიმურობის სრული დაცვით. სადემონსტრაციო მასალებზე არ უნდა იქნას რაიმე სახის მითითება ავტორზე.

9.4. გამოფენის და პრეზენტაციის მიზნით 22 თებერვლამდე უცხოელი ავტორების მიერ ვებ საიტებზე გადმოგზავნილი, პლანშეტებზე წარმოდგენილი პროექტი ამოიბეჭდება ორგანიზატორების მიერ.

10. პროექტის შემადგენლობა:

1. სქემატურად (სიტუაციური გეგმა) მ. 1:2000
2. გენერალური გეგმა ზოგად ტოპოძირზე მ. 1:500
3. ყველა განსხვავებული სართულის გეგმები მ. 1:100/200
4. მინიმუმ ორი მახასიათებელი ჭრილი მ. 1:100/200
5. ფასადები (მინიმუმ 3 ფასადი) მ. 1:100/200
6. რენდერები (ვიზუალიზაცია) - მინიმუმ 2 ხედი;
7. ფოტომონტაჟი - მინიმუმ 2 ხედი;

   აუცილებელი და დამატებითი მასალა შესაძლებელია შეირჩეს ავტორების შეხედულებისამებრ, პირობებით დაშვებული საექსპოზიციო ფართის ფარგლებში.

11. კონკურსის კალენდარი:

11.1. კონკურსის გამოცხადება 2018 წლის 17 დეკემბერი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ გვერდზე www.competition.archinfo.ge, SKIA-ს facebook გვერდზე (https://www.facebook.com/SKIAclub/)

11.2. საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომია 2018 წლის 1 დეკემბრიდან.

11.3. საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადაა მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, უცხოელი არქიტექტორებისათვის დასაშვებია 2019 წლის 26 თებერვალი 17.00 საათი მესტიაში SKIA-ს კლუბში.

11.4. პროექტების გამოფენა გაიხსნება 2019 წლის 27 თებერვალს მესტიის საგამოფენო სივრცეში .

11.5. ჟიურის მუშაობა - 2019 წლის 27-28 თებერვალი.

11.6. შედეგების გამოცხადება 2019 წლის 01.03.2019 წელი 19.00 საათზე მესტიის საგამოფენო სივრცეში. დაჯილდოება 02.03.2019 წელს საზეიმო სხდომაზე.

12. ჟიური:

12.1. კონკურსში გამარჯვებული პროექტების გამოსავლენად იმუშავებს ჟიური 9 წევრის შემადგენლობით. მასში რაოდენობრივად დამკვეთის, ორგანიზატორის და მხარდამჭერის თანაბარი პარიტეტის დაცვით:

ა. **დამკვეთი: SKIA** – საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბი:

1. **გიორგი ჭკუასელი** - **არქიტექტორი**, არქიტექტორთა კავშირის წევრი;
2. **ნათელა ჯობაძე** - **არქიტექტორი,** არქიტექტორთა კავშირის წევრი;
3. **გიორგი ბახსოლიანი** - **არქიტექტორი,** არქიტექტორთა კავშირის წევრი;

ბ. ორგანიზატორი: საქართველოს არქიტექტორთა კავშირი:

4. **ნიკოლოზ აბაშიძე** - **არქიტექტორი,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
5. **დავით ახვლედიანი** - **არქიტექტორი,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი;
6. **გოჩა მიქიაშვილი** - **არქიტექტორი,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი;

გ. მხარდამჭერი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია

7. **კაპიტონ ჟორჟოლიანი - მესტიის მუნიციპლიტეტის მერი;**
8. **ზაურ ჩართოლანი -მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე**
9. **გელა ჯაფარიძე-არქიტექტორი, მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი**

12.2. ჟიურის თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩევიან ჟიურის პირველ სხდომაზე ფარული ან ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

12.3. კონკურსის პასუხისმგებელი მდივანია **ნუგზარ დუდუჩავა.** ჟიურის მდივანი აირჩევა ჟიურის მიერ და სხდომებში იღებს მონაწილეობას სათათბირო ხმით, გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე.

12.4. ჟიურის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს ჟიურის თავმჯდომარეს.

12.5. გადაწყვეტილების გამოტანის მსვლელობას ჟიური აფიქსირებს ოქმში. ოქმში მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული ჟიურის წევრების დამოკიდებულება პროექტებისადმი. ოქმის ქსეროასლები გადაეცემა ნებისმიერ კონკურსანტს, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.

12.6. ჟიურის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ექსპერტების მოწვევა საკონკურსო პროექტების შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

12.7. ჟიურის წევრებს, ჟიურის პასუხისმგებელ მდივანს, მოწვეულ ექსპერტებსა და ჟიურის პროგრამისა და პირობების შემდგენელს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საკონკურსო პროექტის დამუშავებაში ნებისმიერი სახით. კონკურსის დასრულებამდე მათ ეკრძალებათ ჟიურის მუშაობასა და საკონკურსო პროექტების ექსპერტიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

12.8. ჟიურის უფლება აქვს, საკონკურსო პროექტების შემოუსვლელობის შემთხვევაში ან/და შემოსული პროექტების ანალიზის შედეგად, კონკურსი გამოაცხადოს არ შემდგარად, რაც ფორმდება ჟიურის სხდომის სათანადო ოქმით და ქვეყნდება იმავე გზით, რომლითაც გამოცხადდა კონკურსი. ამ შემთხვევაში კონკურსის ვადები ცხადდება ხელახლა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერს, პროგრამა და პირობების მოთხოვნების შესაბამისად.

12.9. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება შეიცვალოს, მათ შორის კონკურსის დამკვეთისა და კონკურსის ორგანიზატორის მიერ.

13. შეფასების კრიტერიუმები:

ა) შესაბამისობა პროგრამასთან და საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება - 10%.

ბ)ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტა, ენერგოეფექტურობა და განხორციელების რეალურობა - 20%.

გ) პროექტში მოცემული საერთო სამშენებლო ფართის ოპტიმალური გამოყენება - 20%.

დ)არქიტექტურულ-მხატვრული დონე, არსებულ გარემოსთან ორგანული თავსებადობა/ მიზანშეწონილობა, მოცულობითი და მხატვრული თანაზომადობა - 50%.

14. კონკურსის დამკვეთი აწესებს ფულად პრემიებს:

14.1. კონკურსით გამოვლინდება 6 საუკეთესო პროექტი.

14.2. გამარჯვებულთათვის დაწესებულია 3 ფულადი პრემია: 1 - პრემია 1500 ლარი, 2 - პრემია 1000 ლარი, 3 - პრემია 500 ლარი და 3 წამახალისებელი ჯილდო.

14.3. ერთი რომელიმე პრემიის გადანაწილება რამდენიმე პროექტზე დაუშვებელია.

14.4. საპრემიო თანხა გათვალისწინებულია ყოველგვარი გადასახადების გარეშე.

14.5. გამარჯვებულთათვის დიპლომებისა და ფულადი პრემიების გადაცემა მოხდება შედეგების საზეიმო სხდომაზე 02.03.2019 წელს.

14.6. კონკურსზე დაშვებულ ყველა რეგისტრირებული პროექტის ავტორს (ავტორთა ჯგუფს) გადაეცემა მონაწილის სერტიფიკატი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის და SKIA-ს კლუბის მიერ.

15. ორგანიზატორის პასუხისმგებლობა:

15.1. კონკურსის პროგრამას და პირობებს ხელშეკრულების ძალა აქვთ. ორგანიზატორებსა და კონკურსანტებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. **ა)** გამარჯვებული პროექტები და მათი ელექტრონული ვერსია (CD) გადადის დამკვეთის საკუთრებაში, რომელიც მათ იყენებს თავისი შეხედულებისამებრ ავტორთან (ავტორებთან) შეთანხმებით.

ბ) პროექტების პუბლიკაცია, საჯარო გამოფენა (გარდა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული შემთხვევისა) შესაძლებელია მხოლოდ ავტორებთან შეთანხმებით.

გ) ყველა პროექტი წარმოადგენს „საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ დაცვის საგანს.

15.3. კონკურსის დამთავრების შემდეგ დამკვეთი და ორგანიზატორი თავისი ხარჯებით ათავსებს ვებ-გვერდებზე მონაწილე პროექტების კატალოგს.

15.4. არაპრემირებული პროექტები (საკონკურსო მასალა) ავტორებს უკან უბრუნდებათ კატალოგის ვებ გვერდზე განთავსების შემდეგ, მოთხოვნის შესაბამისად.

16. საპროექტო დავალება:

16.1. ობიექტის ფუნქციიდან გამომდინარე, პროექტირებისას გათვალისწინებულ იქნას სამშენებლო ნორმების, წესების, წინამდებარე პროგრამისა და პირობების მოთხოვნები. კერძოდ:

- მოცემულ ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4),** რომლისთვისაც დგინდება შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

  განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი **კ1=0,5;**

  განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი **კ2=1.5;**

  გამწვანების კოეფიციენტი **კ3=0,2.**

- ტერიტორიის ტოპოძირზე მითითებულია საორიენტაციო „განაშენიანების რეგულირების ხაზი (წითელი ხაზი)“ სამეზობლო თმენების გათვალისწინებით.

16.2. ობიექტი შედგება საზოგადოებრივი და სამედიცინო ამბულატორიის ნაწილებისაგან ერთიან მოცულობით სისტემაში, ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის ნიშნულიდან 10-15 მეტრი, მიწის ზემოთ არაუმეტეს 3 სართულისა.

16.3. ობიექტი კონსტრუქციულად გადაწყვეტილი უნდა იყოს მარტივი სქემით. ამასთან, სასურველია წარმოდგენილ იქნას ობიექტის საინჟინრო-კონსტრუქციული გადაწყვეტის პრინციპული მოსაზრება და ენერგოეფექტურობის განმსაზღვრელი წინადადებები.

16.4. ტერიტორიაზე გათვალისწინებული იქნას 6 ავტოსადგომი და ცალკე 3 ავტომობილის ამბულატორიის შესასვლელთან.

16.5. **ოჯახური ტიპის სასტუმრო სახლის სათავსოთა ფართები და შემდგენლობა:**

1.	ვესტიბიული, ფოიე გადახდელით	15.0–20.0 მ²
2.	2-3 ოთახი საკლუბო საქმიანობისათვის	25.0–30,0 მ²
3.	ადმინისტრაციის ოთახი	16.0 მ²
4.	პერსონალის ოთახი	16.0 მ²
5.	საკუჭნაო	12.0 მ²
6.	მრავალფუნქციური დარბაზი ბარით	80-100 მ²
7.	საწყობი, ინსტრუმენტებისათვის	30.0 მ²
8.	პერსონალის გასახდელები	8.0–10.0 მ²
9.	ექიმის ოთახი	16.0 მ²
10.	საპროცედურო	12.0 მ²
11.	იზოლატორი 2 საწოლზე, საკვანძით	18.0 მ²
12.	სველი წერტილი	3.0 მ²
13.	ტამბური	5.0 მ²
14.	ექიმის მისაღები	20.0 მ²

სხვა დამხმარე სათავსები - ამბულატორიის შესასვლელთან ფარდული, თბოპუნქტი, და ა.შ. კონკურსანტის შეხედულებისამებრ.

16.6. გათვალისწინებულ იქნას სათავსების ინსოლაცია-განიავების და მხარეების მიმართ ორიენტაციის ოპტიმალური გადაწყვეტა.

16.7. შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას საკლუბო ოთახების და მრავალფუნქციური დარბაზის გაერთიანება.

16.8. საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაწილის სათავსოების ფუნქციური დანიშნულება და ნომენკლატურა კონკურსანტების შეხედულებისამებრ.

16.9. გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

16.10. გააზრებულ იქნას ობიექტის ღამის არქიტექტურული განათება.

16.11. მისაღებია ქალაქგეგმარების, სავარაუდოდ თემის დასახლების ცენტრთან, თუ ობიექტთან მიმართებაში ნებისმიერი სხვა ასპექტის გადაწყვეტის დასაბუთებული შემოთავაზება, რომელიც, მონაწილეთა აზრით, ხელს შეუწყობს კონკურსის ძირითადი მიზნის მიღწევას.

16.12. განმარტებით ბარათში უნდა იყოს მოცემული შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

- **კ1** - განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში);
- **კ2** - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში);
- **კ3** - გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში);
- ბინების საერთო ფართი საზაფხულო ფართების ჩათვლით;
- სარდაფის სართულის (სართულების) საერთო სასარგებლო ფართი;
- ობიექტის კონსტრუქციული სიმაღლე: 0.00 ნიშნულის ზევით;
  0.00 ნიშნულის ქვევით.
- ყველაზე დიდი მალის სიდიდე: X.XX მ-ებში.